დანართი N1

კონკურსის

„წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები“
და
„წლის საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომი“

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. კონკურსის მიზანია თანამედროვე ქართული საკომპოზიტორო და სამუსიკისმცოდნეო შემოქმედების განვითარების სტიმულირება ახალი საუკეთესო მუსიკალური და სამუსიკისმცოდნეო ნიმუშების გამოვლენითა და პოპულარიზაციით, ქართული პროფესიული მუსიკისადმი ინტერესის გაღვივება, ქართული სამუსიკისმცოდნეო აზრის განვითარება და გააქტიურება, ქართული მუსიკის შესახებ საუკეთესო კვლევითი და კრიტიკულ-პუბლიცისტური შრომების აღიარება.
1.2. ყოველწლიურ კონკურსს წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებისა და საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომის გამოსავლენად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო“) ატარებს საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირთან (შემდგომში „კავშირი“) ერთად;
1.3. კონკურსში გამარჯვებული ერთი მუსიკალური ნაწარმოების ავტორს და ერთი სამუსიკისმცოდნეო ნაშრომის ავტორს ენიჭება სამინისტროს პრემია „წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები“ და „წლის საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომი“;

მუხლი 2. კონკურსის სტრუქტურა

2.1. კონკურსი ტარდება ორ ტურად, პირველი ტური „კავშირში“, მეორე ტური - „სამინისტროში“;
2.2. საკონკურსო ნაწარმოებები პრეტენდენტებს შეაქვთ საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირში;

მუხლი 3. საკონკურსო პირობები

3.1. კონკურსი ღიაა და საჯარო;
3.2. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი ჟანრისა და ნებისმიერი შემადგენლობისთვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები, ხოლო სამუსიკისმცოდნეო დარგში კრიტიკულ-პუბლიცისტური ან სამეცნიერო (წიგნი, სტატია, ნარკვევი, რეცენზია, ესსე და ა.შ.) ნაშრომი ქართული მუსიკის შესახებ;
3.3. საკონკურსო მუსიკალური ნაწარმოები/ნაშრომი 2015 წელს უნდა იყოს შესრულებული/გამოქვეყნებული საქართველოში და გააჩნდეს საზოგადოებრივი რეზონანსი;
3.4. საკონკურსოდ არ დაიშვება ადრე შესრულებული/გამოქვეყნებული და 2015 წელს რედაქტირებული ნაწარმოები;
3.5. საკონკურსო ნაწარმოების/ნაშრომის წარდგენის ვადა განისაზღვრება
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 4. კონკურსის ჟიური

4.1. პირველი ტურის ჟიური შედგება 7-7 წევრისაგან (თავმჯდომარე, ჟიურის ხუთი
წევრი, პასუხისმგებელი მდივანი); რომელიც დარგების მიხედვით გამოავლენს „წლის საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებს“ და „წლის საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომს“.
4.2. პირველი ტურის ჟიურის წევრებს ნიშნავს კავშირის თავმჯდომარე სამინისტროსთან შეთანხმებით;
4.3. მეორე ტურის ჟიური შედგება 7 წევრისაგან, ჟიურის წევრებს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის წარდგინებით, ბრძანებით ნიშნავს მინისტრი;
4.4. ჟიურის თავმჯდომარე:
- ხელმძღვანელობს ჟიურის სხდომებს;
- ნიშნავს ჟიურის პასუხისმგებელ მდივანს.
4.6. ჟიურის პასუხისმგებელი მდივანი:
- ჟიურის თავმჯდომარის მითითებით იწვევს ჟიურის სხდომებს;
- აწარმოებს სხდომის ოქმებს;
- თავს უყრის ჟიურის მუშაობის მასალებს.

4.7. ჟიურის წევრი:
- მონაწილეობს ჟიურის სხდომებში.
4.8. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ჟიურის წევრებისთვის დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობა;

მუხლი 5. ჟიურის მიერ გადაწყვეტილების მიღება

5.1. ორივე ტურში ჟიური გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით;
5.2. პირველი და მეორე ტურის ჟიური (შემდგომში „ჟიური“) უფლებამოსილია თავისი შეხედულებით შეარჩიოს წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები და წლის საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომი, მათ შორის - პირველ ტურში - სამ-სამი, მეორე ტურში თითო-თითო;
5.3. გამარჯვებულად ცხადდება ის ნაწარმოები, რომელიც მიიღებს ჟიურის წევრთა ხმების მეტ რაოდენობას;
5.4. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ჟიურის თავმჯდომარის ხმა;
5.5. ჟიურის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში, სხდომის გაძღოლის უფლებამოსილებას ანიჭებს ჟიურის ერთ-ერთ წევრს;
5.6 ჟიურის წევრი, რომელიც არ ესწრება სხდომას, უფლებამოსილია თავისი პოზიცია (ხმა) ჟიურის წარუდგინოს წერილობით;
5.7. ჟიურის ყველა სხდომა აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ჟიურის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი;
5.8. ჟიურის სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს ჟიურის სხდომაზე განხილული ყველა საკითხი, ყველა გამომსვლელის ძირითადი არგუმენტები. აგრეთვე, ის მოტივირებული გადაწყვეტილებები, რომელსაც რეკომენდაციის სახით მიიღებს ჟიური. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში აუცილებელია განსხვავებული პოზიციების ოქმში დაფიქსირება;

მუხლი 6. ფინანსური პირობები

6.1. კონკურსის ბიუჯეტი 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით გათვალისწინებულია სამინისტროს „ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ პრიორიტეტში - „ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“;
6.2. 5000 (ხუთი ათასი) ლარი პრემიის სახით ნაწილდება მეორე ტურში გამარჯვებულ ორ ავტორზე, მათ შორის - „წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოების“ ავტორს გამოეყოფა 3 000 (სამი ათასი) ლარი; „წლის საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომის“ ავტორს - 2 000 (ორი ათასი) ლარი.

მუხლი 7. ფორმალური პირობები

7.1 საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირში უნდა გაიგზავნოს საკონკურსო ნაწარმოების პარტიტურა, ან კლავირი სამ ეგზემპლარად, და CD აუდიო/ვიდეო ჩანაწერით; სამუსიკისმცოდნეო ნაშრომის კონკურსისთვის - ნაშრომი სამ ეგზემპლარად; სასურველია, აგრეთვე, მუსიკალური ნაწარმოების პარტიტურის ან კლავირის Finale-ს ან Sibelius-ის პროგრამაში აკრეფილი ელექტრონული ვერსიის CD-ის წარდგენა; საკონკურსოდ შემოტანილი მასალა ავტორებს უკან არ უბრუნდება.
7.2 საკონკურსო მასალა (ნაწარმოები/ნაშრომი ავტორის საკონტაქტო მონაცემებით და, თუ არსებობს, საზოგადოებრივი გამოხმაურების ამსახველი მასალა - რეცენზიები, გადაცემები და სხვა) უნდა გაიგზავნოს მისამართზე: 0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 123, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი, კონკურსისათვის „2015 წლის საუკეთესო ნაწარმოები“ ან კონკურსისათვის „2015 წლის საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომი“.
7.3 დამატებითი ინფორმაციის მისაღებად კონსულტაციები გაიმართება კონკურსის გამოცხადებისთანავე, სამუშო დღეებში 15.00 საათიდან 17.00 საათამდე კონკურსის პასუხისმგებელ მდივნებთან;
7.4 საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი, ტელ.: 295 95 13, 599 345 929; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტი, ტელ.: 293 14 88.